

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2022-2025 წ.წ.

დოკუმენტი მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ პროექტის “ანმეტისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების მერიებისთვის გამჭვირვალობის და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება” ფარგლებში. პროექტის ფინანსური მხარდაჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში.

2022 წ.

სარჩევი

შესავალი	3
ხედვა	4
სტრატეგიული მიმართულებები	5
მიმართულება I. გამჭვირვალობა	6
მიმართულება II. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება	7
მიმართულება III. ადამიანური რესურსების მართვა	8
მიმართულება IV. ეთიკა და კორუფციული რისკების შემცირება	10
მიმართულება V. ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვები	11
მიმართულება VI. ნებართვები და ლიცენზიები	12
მიმართულება VII. შიდა კონტროლის მექანიზმი	13
მიმართულება VIII. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში მყოფი იურიდიული პირები	14
სტრატეგიის განხორციელება	16
გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი	16

შესავალი

კორუფცია უდიდეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის მდგრად განვითარებას, კანონის უზენაესობას, ზრდის სიღარიბეს და უთანასწორობას და იწვევს სახელმწიფო რესურსების მნიშვნელოვან დანაკარგს. კორუფციის, როგორც დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინააღმდეგობის აღმოსაფხვრელად არსებითად მნიშვნელოვანია ისეთი პრევენციული ზომების გატარება, როგორიცაა კეთილსინდისიერების, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე.

სანდო, ანგარიშვალდებულები, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობა მნიშვნელოვანია როგორც ევროინტეგრაციის, ისე მდგრადი განვითარების მიზნების თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ შეაფასა კორუფციული რისკები და შედეგებზე დაყრდნობით მოამზადა გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების მიზნით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას მხარდაჭერას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი დემოკრატიული მმართველობის ინიციატივას (Good Governance Initiative). პროცესში ჩაერთო ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), რომელმაც მუნიციპალიტეტის მერიას ანალიტიკურ და ლოგისტიკურ დახმარება გაუწია სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების მიზნით.

ზემოთ აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების მტკიცებულებებზე დაყრდნობით შემუშავების მიზნით IDFI-მ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში ანგარიშვალდებულებისა და კეთილსინდისიერების მიმართულებით არსებული კორუფციული რისკების შეფასების ანალიზი განახორციელა წინასწარ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელსაც ცაგერის მერია მომავალშიც გამოიყენებს კორუფციული რისკების გამოვლენისა და მართვის მიზნით. იდენტიფიცირებული ხარვეზებისა თუ გამოწვევების აღმოსაფხვრელად მერიამ განსაზღვრა პოტენციური კორუფციული რისკები და მათი საპასუხო ღონისძიებები. რისკების შეფასების საფუძველზე განისაზღვრა სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები, მიზნები და ამოცანები.

რისკების შეფასების პროცესში სპეციალური კითხვარის გამოყენებით მიღებული და დამუშავებული იქნა საჯარო ინფორმაცია; გაანალიზდა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროები; ჩატარდა ინტერვიუები მერიის თანამშრომლებთან და ფოკუს ჯგუფის დისკუსია სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივ წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, შესწავლილ იქნა არსებული ანტიკორუფციული საკანონმდებლო ჩარჩო და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები; საქართველოსთან მიმართებით არსებული საერთაშორისო რეკომენდაციები - OECD-ACN/GRECO მონიტორინგის ანგარიშები და მათი სტანდარტები. აქცენტი გაკეთდა იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობისთვის იყო რელევანტური. ამავდროულად, სიტუაციის ანალიზის ფარგლებში შესწავლილი იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიასთან მიმართებით სახელმწიფო აუდიტის და მერიის შიდა აუდიტის ანგარიშები.

ცაგერის მერიის კორუფციული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზის პროცესში დადგინდა, რომ გასაუმჯობესებელია გამჭვირვალობის არსებული სტანდარტები და

ჩართულობის მექანიზმები; დასახვეწია ადამიანური რესურსების მართვის სისტემა; დასაწერია მერიის სპეციფიკაზე მორგებული ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმები; სახელმწიფო შესყიდვების პროცესში აუცილებელია გამჭვირვალობის, კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა და მონიტორინგის მექანიზმის გაძლიერება; მნიშვნელოვანია მერიის სერვისების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მათი გამოყენების ხელშეწყობა; გასაძლიერებელია შიდა კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობა; აღნიშნული სტანდარტებისა და პრინციპების დანერგვა ასევე აუცილებელია მერიის მმართველობაში შემავალ იურიდიულ პირებშიც.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის კორუფციული რისკების შეფასების ანგარიშში იდენტიფიცირებული რისკების ანალიზის შედეგად შემუშავდა კორუფციული რისკების რეესტრი, რომელშიც პრიორიტეტული კორუფციული რისკები მოცემულია მათი ალბათობისა და სიმწვავის ხარისხის მიხედვით. რისკების აღმოფხვრისა თუ შემცირება/მართვის მიზნით განისაზღვრა ღონისძიებები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

ბოლო ეტაპზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ მოამზადა გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია, რომლის საფუძველზე შეიმუშავა სტრატეგიის განხორციელების ორწლიანი სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში განისაზღვრება კონკრეტული ნაბიჯები სტრატეგიაში იდენტიფიცირებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, მათი შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, რისკები, ფინანსური რესურსის წყარო და განხორციელების ვადები. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა წარედგინათ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მხედველობაში იქნა მიღებული მათი შენიშვნები და რეკომენდაციები.

სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების მიზნით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისგან. სამუშაო ჯგუფი წელიწადში ერთხელ უზრუნველყოფს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმის, ორ წელიწადში ერთხელ კი - სტრატეგიის გადახედვას მათი განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე და მიმდინარე გამოწვევების საპასუხოდ დოკუმენტების განახლებას.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას ამტკიცებს ცაგერის მერი.

ხედა

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ კორუფციის დამარცხებისთვის აუცილებელია კეთილსინდისიერებისა და გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა, რაც საჭიროებს მუდმივ ძალისხმევას, ეფექტიან ზედამხედველობას და ხელშეწყობას. აღნიშნულის გათვალისწინებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მთავარ ხედვას წარმოადგენს კორუფციისგან თავისუფალი, გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და

კეთილსინდისიერი სისტემის ჩამოყალიბება, ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მერიის საქმიანობის მიმართ მოსახლეობის ნდობის ზრდა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ სტრატეგიაში მოცემული მიზნების ეფექტიანად განხორციელება ხელს შეუწყობს:

1. ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და კორუფციისგან თავისუფალი სისტემის ჩამოყალიბებას;
2. მუნიციპალიტეტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდას;
3. ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას;
4. საჯარო ფინანსების განკარგვის ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

კორუფციის პრევენცია, ანგარიშვალდებული, კეთილსინდისიერი და გამჭვირვალე საჯარო სამსახური ევროპულ ოჯახთან დაახლოებისთვის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რაც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს.¹

სტრატეგიული მიმართულებები

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში კორუფციის პრევენციის და კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტების დამკვიდრების მიზნით მერია სტრატეგიულ პრიორიტეტად შემდეგ რვა მიმართულებას განსაზღვრავს:

1. გამჭვირვალობა - მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მათ შორის, ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობა.
2. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება - მერიის საქმიანობაში მონაწილეობის ინსტრუმენტები, გადაწყვეტილების მიღების, მათ შორის, ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მერიის თანამშრომელთა და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა.
3. ადამიანური რესურსების მართვა - საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფილად დანერგვა მოხელეთა სამსახურში აყვანის, გათავისუფლების, ანაზღაურების, კარიერული განვითარების საკითხებზე.
4. ეთიკა და დისციპლინური წარმოება - მერიის თანამშრომელთა ეთიკისა და კეთილსინდისიერების ნორმები, დისციპლინური წარმოების წესები და სტანდარტები და აღნიშნულ საკითხებზე მერიის თანამშრომელთა ცნობიერება, მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტის შესახებ მოხელეთა ცნობიერება.

¹ „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ (2014), მუხლი 4.

5. ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვები - მერიის ბიუჯეტის შემუშავებისა და ხარჯვის, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი, გამჭვირვალობა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობა.
6. ნებართვები და ლიცენზიები - სერვისების მიწოდების ხარისხის უზრუნველყოფისა და კეთილსინდისიერების სტანდარტებთან შესაბამისობის კონტექსტში.
7. შიდა კონტროლი - საჯარო დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემა, მისი ეფექტიანობა მერიაში ეთიკის დაცვისა და ფინანსური რესურსების რაციონალურად ხარჯვის კონტექსტში.
8. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში მყოფი იურიდიულ პირები - გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფის კონტექსტში.

სტრატეგიული მიმართულება I. გამჭვირვალობა

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში გამჭვირვალობის გარკვეული სტანდარტები უკვე დანერგულია, თუმცა, კორუფციული რისკების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია აღნიშნული სტანდარტების დახვეწა და გაუმჯობესება. მერიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების დამუშავებისა და რეაგირების დეტალური პროცედურა გაწერილი არ არის; არ ხდება საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის კვალიფიკაციაზე მუდმივი ზრუნვა; საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტების პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგული არ არის; მონაცემები არ ქვეყნდება ღია ფორმატში.

მერიის გამჭვირვალობის მიმართულებით იდენტიფიცირებულმა გამოწვევებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ ისეთი კორუფციული რისკფაქტორების და რისკების წარმოქმნას, როგორებიცაა:

- საჯარო ინტერესის გათვალისწინების გარეშე გადაწყვეტილებების მიღება
- მოსახლეობის მიერ საჭირო სერვისებით სარგებლობისთვის პირადი კავშირების გამოყენება
- მერიის მიერ საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვა

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრატეგიული მიზანია **მერიაში გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია განსაზღვრავს შემდეგ ამოცანებს:

- **ცაგერის მერიაში საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება:** საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია მერიის გამჭვირვალობის განმტკიცებისთვის. ამისთვის კი მნიშვნელოვანია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა, რადგან სწორედ აღნიშნულ პირს ევალება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განაცხადებზე რეაგირება და სათანადო პროცედურის განხორციელება. ამავდროულად, რადანაც პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები

უზრუნველყოფენ მისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას, მნიშვნელოვანია, აღნიშნული პირებიც სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულები საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ წესებსა და სტანდარტებზე.

- **საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების სტანდარტის გაუჯობესება:** ცაგერის მერიაში გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებებზე სათანადო რეაგირებისთვის მნიშვნელოვანია, არსებობდეს შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების პროცედურა, სტრუქტურული ერთეულების მოვალეობები, პასუხისმგებლობები, ვადები და ა.შ. ამავდროულად, მერია უზრუნველყოფს, რომ მუდმივად ხდებოდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოთხოვნის გარეშე გაეცნონ შესაბამისი ტიპის ინფორმაციას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, ღია მონაცემების მაღალი სტანდარტებით წარმოება და მარტივად დამუშავებად, ღია ფორმატში გამოქვეყნება იმისთვის, რომ მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ზედმეტი ბიუროკრატიის გარეშე მოიპოვონ და დამუშაონ მათთვის საინტერესო ღია მონაცემები.

სტრატეგიული მიმართულება II. მოქალაქეთა ჩართულობა და ანგარიშვალდებულება

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს, რომ კორუფციული რისკების თავიდან ასაცილებლად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობაში საჭიროა მოქალაქეთა ჩართულობის და ანგარიშვალდებულების გაძლიერება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი მერიაში უკვე არსებული მექანიზმების გაუმჯობესების, მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფისა და მათთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების კუთხით. ასევე აუცილებელია იმ დამატებითი მექანიზმების დანერგვა, რომლებიც ცაგერის მერიაში ჯერ-ჯერობით ხელმისაწვდომი არ არის. საზოგადოება ინფორმირებული უნდა იყოს საკუთარი უფლებებისა და იმ მექანიზმების შესახებ, რომელთა გამოყენებაც მათ შეუძლიათ მერიის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. საჭიროა, ინფორმაცია აქტიურად ვრცელდებოდეს მოსახლეობაში როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდვითი საშუალებების გამოყენებით. მნიშვნელოვანია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა; ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა და მოქალაქეთა ინიციატივების წახალისება. პარალელურად უნდა ხდებოდეს საზოგადოებასთან ურთიერთობაში მონაწილე პირების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა.

მერიის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის და ანგარიშვალდებულების მიმართულებით იდენტიფიცირებულმა გამოწვევებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ ისეთი კორუფციული რისკფაქტორების და რისკების წარმოქმნას, როგორებიცაა:

- მერიის მიერ საჯარო ინტერესის გათვალისწინების გარეშე გადაწყვეტილებების მიღება
- მერიაში დისკრეციული უფლებამოსილებისას კერძო და საჯარო ინტერესების დისბალანსი
- მერიის საქმიანობაში ჩართულობისთვის არაფორმალური კავშირების გამოყენება

- მერიში გადაწყვეტილებების ერთპიროვნულად მიღება
- მერიის ბიუჯეტის საჯარო ინტერესების სათანადოდ გათვალისწინების გარეშე შემუშავება

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრატეგიული მიზანია **მერიის ანგარიშვალდებულების ხარისხის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა და თანამშრომელთა ჩართულობის გაუმჯობესება.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცაგერის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა და თანამშრომელთა ჩართულობის ხელშეწყობა:** მერიას უკვე აქვს შემუშავებული მოქალაქეთა ჩართულობისა და მათი ინფორმირების პლატფორმები (მათ შორის, ელექტრონული სახით). ამავდროულად მერია საჭიროდ მიიჩნევს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას არსებულ მექანიზმებთან და მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით ისევე, როგორც აღნიშნული მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებაზე ზრუნვას. მოქალაქეთა ჩართულობასთან ერთად, ცაგერის მერიისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს თავად მერიის თანამშრომელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, რაც სათანადოდ გაწერილი პროცედურების მიხედვით უნდა განხორციელდეს.
- **მერიის ყველაზე საჭირო და მოთხოვნადი სერვისებით სარგებლობის ხელშეწყობა:** ცაგერის მერია თვლის, რომ არსებული სერვისებით შეუფერხებელი სარგებლობისთვის მნიშვნელოვანია, მოქალაქეებს მერიის ვებგვერდზე მარტივად შეეძლოთ ამომწურავი ინფორმაციის მიღება კონკრეტული სერვისით სარგებლობის წესისა და პროცედურის შესახებ.

სტრატეგიული მიმართულება III. ადამიანური რესურსების მართვა

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია აცნობიერებს, რომ კორუფციული რისკების თავიდან ასაცილებლად ადამიანური რესურსების მართვის სტანდარტების გაუმჯობესება და დამატებითი რეგულაციების დანერგვა აუცილებელია. კერძოდ, მნიშვნელოვანია, ცაგერის მერიამ მეტი გამჭვირვალობა აჩვენოს თანამშრომელთა აყვანის პროცესში და ღრულად და აქტიურად მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია გამოცხადებული ვაკანსიებისა და პროცედურების შესახებ. მნიშვნელოვანია, მერიამ დაიწყოს მუშაობა უწყების ფუნქციური ანალიზის განხორციელებაზე, რომლის ფარგლებში განისაზღვრება მერიისთვის საჭირო სამტატო ნუსხა და შრომის ადეკვატური ანაზღაურება. მერიამ უნდა უზრუნველყოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა სამტატო და არასამტატო თანამშრომელთა ბალანსის კუთხით და მოერიდოს კონკურის გარეშე პირების სამსახურში აყვანას. მნიშვნელოვანია, მერიამ ახლად დანიშნული თანამშრომლებისთვის არსებობდეს გაცნობითი (ინდუქციური) სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება მოხელეს მარტივად გაეცნოს დაწესებულების საქმიანობას, რეგულაციებს, ორგანიზაციულ საკითხებს თუ სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. აუცილებელია, მერიამ სათანადო ყურადღება დაეთმოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საკითხს, არსებობდეს თანამშრომელთა საჭიროებების შესწავლის და მათი

პროფესიული განვითარებისთვის საჭირო გეგმა, ამისთვის ბიუჯეტიდან გამოიყოს და დაიხარჯოს საჭირო რესურსი.

მერიის საქმიანობაში ადამიანური რესურსების მიმართულებით იდენტიფიცირებულმა გამოწვევებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ ისეთი კორუფციული რისკფაქტორების და რისკების წარმოქმნას, როგორებიცაა:

- მერიის ბიუჯეტის არამიზნობრივი/დაუსაბუთებელი ხარჯვა არასაჭირო კადრებზე
- მერიის თანამშრომლების მიერ არაადეკვატური ანაზღაურების პირობებში კანონთან შეუსაბამო სარგებლის მიღება
- მერიის თანამშრომლების მიერ საკუთარი ფუნქციების არასათანადოდ განხორციელება

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრატეგიული მიზანია **ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესება და თანამშრომელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცაგერის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსის რაციონალიზაცია და თანამშრომელთა ადეკვატური ანაზღაურების უზრუნველყოფა:** საჯარო ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და მერიის საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფად მერია მნიშვნელოვნად მიიჩნევს, საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისთვის საჭირო პროფესიონალი კადრების უზრუნველყოფას, რომელთა სამუშაო აღწერილობები დეტალურად განსაზღვრული, ანაზღაურება კი სამუშაო აღწერილობის შესაბამისია. ამისთვის კი მერია გეგმავს ფუნქციური ანალიზის განხორციელებას.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა:** მერიის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევა და მის შესაბამისად სასწავლო აქტივობებში თანამშრომელთა ჩართვის უზრუნველყოფა აუცილებელია მერიაზე დაკისრებული ფუნქციების წარმატებით განხორციელებისთვის. შესაბამისად, მერია საჭიროდ მიიჩნევს, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკის / გეგმის შემუშავებას და ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ათვისების ეფექტიანობის უზრუნველყოფას. ამავდროულად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია საჭიროდ მიიჩნევს ახლად დასაქმებული თანამშრომლების ხელშეწყობას მერიის მუშაობის პრინციპების და პრაქტიკის გაცნობის პროცესში.
- **ცაგერის მერიის საკადრო პოლიტიკის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა:** მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად მნიშვნელოვანია მაქსიმალური გამჭვირვალობა იყოს უზრუნველყოფილი თანამშრომელთა აყვანის პროცესში და დროულად და აქტიურად მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია გამოცხადებული ვაკანსიებისა და პროცედურების შესახებ.

სტრატეგიული მიმართულება IV. ეთიკა და დისციპლინური წარმოება

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ მერიაში კორუფციული რისკების პრევენციის მიზნით აუცილებელია მაღალი ეთიკური კულტურისა და სტანდარტების დამკვიდრება, რისთვისაც მნიშვნელოვანია, შემუშავდეს მერიის სპეციფიკაზე მორგებული ეთიკის კოდექსი და პრაქტიკული სახელმძღვანელო, სადაც კონკრეტული მაგალითები და რჩევები იქნება გათვალისწინებული ისეთ საკითხებზე, როგორცაა აკრძალული საჩუქარი, ინტერესთა კონფლიქტი, თანამდებობრივი შეუთავსებლობა, ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენება და ა.შ. ამავდროულად, აუცილებელია ეთიკის ისევე, როგორც მამხილებლის ინსტიტუტის საკითხებზე თანამშრომელთა და თანამდებობის პირთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ინტენსიური მუშაობა. რეკომენდებულია, მერიაში გამოიყოს შესაბამისი სამტატო ერთეული, რომელიც ეთიკის კუთხით გარემოს გაუმჯობესებაზე, თანამშრომლებისთვის ეთიკის საკითხებზე რჩევის მიცემაზე იქნება პასუხისმგებელი. საჭიროა, უზრუნველყოფილ იქნეს ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სამსახურის შესაძლებლობების განვითარება და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და დეტალური, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურის გაწერა.

მერიის საქმიანობაში ეთიკისა და დისციპლინური წარმოების მიმართულებით იდენტიფიცირებულმა გამოწვევებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ ისეთი კორუფციული რისკფაქტორების და რისკების წარმოქმნას, როგორებიცაა:

- მერიის წარმომადგენელთა მიერ არაეთიკური/არაკეთილსინდისიერი ქცევა
- არაეთიკური/არაკეთილსინდისიერი ქცევის დაუსჯელობა/წახალისება
- მერიის წარმომადგენლების მიერ აკრძალული საჩუქრის ან სხვა სარგებლის მიღება
- მერიის წარმომადგენლების მიერ ინტერესთა კონფლიქტის ხარვეზიანი მართვა
- მერიის წარმომადგენლების მიერ ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენება
- არაეთიკური ქცევის / კორუფციული შემთხვევების გამჟღავნების და რეაგირების სიმცირე

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრატეგიული მიზანია **მერიაში მაღალი ეთიკური კულტურისა და სტანდარტების დამკვიდრება და კორუფციული რისკების შემცირება.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცაგერის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის ეთიკის ნორმებისა და დისციპლინური წარმოების წესების ნორმატიზება და პრაქტიკაში დანერგვა:** აღნიშნული განხორციელებულია ცაგერის მერიაზე მორგებული ეთიკის კოდექსის და მისი განმარტებითი სახელმძღვანელოს, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და დეტალური პროცედურის შემუშავებით. ხოლო აღნიშნული ნორმების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით მერია უზრუნველყოფს სათანადო ტრენინგებში (მათ შორის, მხილების მექანიზმთან დაკავშირებით) თანამშრომელთა მონაწილეობასა და კონსულტაციის მექანიზმის დანერგვას.

- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში კორუფციული რისკების შეფასების სისტემის ინსტიტუციონალიზაცია:** ცაგერის მერიას უკვე შემუშავებული აქვს კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგია და ანგარიში, კორუფციული რისკების შემცირების მიზნით მერია გეგმავს, უზრუნველყოფს კორუფციული რისკების გამოვლენის, მათი მართვისა და მონიტორინგის ინტეგრირება მერიის საქმიანობაში.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში ზედამხედველობის მექანიზმის გაძლიერება:** მნიშვნელოვანია, შიდა კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის არსებობა ეთიკის ნორმების შესრულების მონიტორინგის მიზნით. ამიტომ, მერია გეგმავს დეტალურად გაწეროს შესაბამისი სამსახურის ფუნქციები ამ მიმართულებით და უზრუნველყოს ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის თანამშრომელთა სათანადო გადამზადება.

სტრატეგიული მიმართულება V. ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვები

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვა-ხარჯვისა და სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებაში კორუფციული რისკების პრევენციისა და მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი, რისთვისაც აუცილებელია სახელმწიფო აუდიტის და საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა. მერიაში საჭიროა ზოგადად საბიუჯეტო სახსრების (საწვავის ლიმიტები) და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგის ეფექტიანი მექანიზმის ფუნქციონირება. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ხდებოდეს კორუფციული რისკების შეფასება. აუცილებელია, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია ახდენდეს სატენდერო პირობების გაანალიზებას, ბაზრისა და პოტენციურ მიმწოდებელთა საჭიროების სათანადო კვლევას. მერია აქტიურად უნდა ავრცელებდეს ინფორმაციას ტენდერების შესახებ, მათ შორის, სოციალური ქსელების გამოყენებით.

მერიის ბიუჯეტისა და სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებაში იდენტიფიცირებულმა გამოწვევებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ ისეთი კორუფციული რისკფაქტორების და რისკების წარმოქმნას, როგორებიცაა:

- მერიის ბიუჯეტის დაგეგმვა საჯარო ინტერესების სათანადოდ გათვალისწინების გარეშე
- მერიის მიერ საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი ან/და არაეფექტიანი გამოყენება
- მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტების განუხორციელებლობა ან არასათანადოდ განხორციელება
- სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კერძო ინტერესების დომინირება
- არაკანონიერი გარიგებები საბიუჯეტო რესურსების ათვისებისას.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ცაგერის მერიის სტრატეგიული მიზანია **მერიაში სახელმწიფო შესყიდვების მაღალი სტანდარტების დამკვიდრება.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ბიუჯეტის ეფექტიანად დაგეგმვის და ხარჯვის უზრუნველყოფა:** აღნიშნულის განხორციელება მერია გეგმავს სახელმწიფო აუდიტის ანგარიშებისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კომისიის დასკვნების დეტალური ანალიზის და მათ მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის გზით.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესება:** ცაგერის მერია მიიჩნევს, რომ შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობა უმნიშვნელოვანესია, ამიტომ აპირებს, ყოველთვის უზრუნველყოს მერიისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების მიმდინარე ტენდერების შესახებ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება მერიის ვებგვერდსა და სოციალური მედიის გვერდზე.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესის გაუმჯობესება:** ამოცანის შესრულებას მერია გეგმავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული პოტენციური მიმწოდებლების საჭიროებების კვლევისა და სატენდერო პირობების ანალიზის ისევე, როგორც შესყიდვების დაგეგმვის პროცესში ბაზრის სათანადო კვლევის უზრუნველყოფით. გარდა ამისა, მერია დანერგავს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში კორუფციული რისკების შეფასების სისტემას აღნიშნული რისკების გამოვლენისა და მათი მართვის/შემცირების მიზნით.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით შიდა კონტროლის გაუმჯობესება:** ამოცანის ფარგლებში ცაგერის მერიაში გაუმჯობესდება ინფრასტრუქტურული ობიექტების მდგომარეობის მონიტორინგის მექანიზმის ეფექტიანობა. შესაბამისი სტრუქტურული ერთეული საკმარისი და სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსებით იქნება დაკომპლექტებული.

სტრატეგიული მიმართულება VI. ნებართვები და ლიცენზიები

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით ძირითადი სტანდარტები დანერგილია. თუმცა, კორუფციული რისკების პრევენციის, მეტი გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, სოციალური დახმარების გაცემის წესთან ერთად ადგილობრივ დონეზე არსებობდეს სანებართვო მოწმობების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი. დამატებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული სერვისების, მათი მიწოდების წესის, გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაცია მარტივად აღქმადი ფორმით იყოს ხელმისაწვდომი მერიის ვებგვერდზე.

მერიის ნებართვებისა და ლიცენზიების მიმართულებაში იდენტიფიცირებულმა გამოწვევებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ ისეთი კორუფციული რისკფაქტორების და რისკების წარმოქმნას, როგორებიცაა:

- ნებართვების გაცემა საჯარო და კერძო ინტერესების დისბალანსით

- ნებართვების მიღების პროცესში არაფორმალური ხერხების / პირადი კავშირების გამოყენება
- მოსახლეობის მიერ ნებართვებისა და სოციალური დახმარების სერვისებით სარგებლობის შეფერხება

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სტრატეგიული მიზანია **ნებართვების და ლიცენზიების გაცემის სერვისით სარგებლობის გამარტივება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში ნებართვების და ლიცენზიების გაცემის სერვისის გაუმჯობესება:** ამოცანის ფარგლებში მერია გეგმავს სანებართვო მოწმობების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის ნორმატიზებას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიაში ნებართვებზე გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურის გამარტივება:** ცაგერის მერია მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს ნებართვებთან და ლიცენზიებთან დაკავშირებული სერვისების, მათი მიწოდების წესის, გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაცია მარტივად აღქმადი ფორმით იყოს ხელმისაწვდომი მერიის ვებგვერდზე.

სტრატეგიული მიმართულება VII. შიდა კონტროლის მექანიზმი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ მერიის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებისა და ეთიკის სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვის კუთხით არსებითი როლი აკისრია შიდა კონტროლის მექანიზმის გაძლიერებას. ამის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მისი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა, სამსახურის მიერ რისკების მართვის გაუმჯობესება, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა, შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა, ეთიკისა და დისციპლინური მიმართულებით მუშაობის გააქტიურება და შესაბამისი ფუნქციებისა და რეგულაციების ნათლად გაწერა.

მერიის შიდა კონტროლის მიმართულებაში იდენტიფიცირებულმა გამოწვევებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ ისეთი კორუფციული რისკფაქტორების და რისკების წარმოქმნას, როგორებიცაა:

- მერიასა და მის მმართველობაში შემავალ იურიდიულ პირებში კორუფციული შემთხვევების არასათანადო პრევენცია
- მერიისა და მის მმართველობაში შემავალი იურიდიულ პირების მიერ საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი ან/და არაეფექტიანი გამოყენება

- მერიის წარმომადგენელთა არაეთიკური/არაკეთილსინდისიერი ქცევის რეაგირების გარეშე დატოვება
- მერიის წარმომადგენელთა არაეთიკურ/არაკეთილსინდისიერ ქცევაზე არაეფექტიანი ზედამხედველობის (დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცესი) განხორციელება.

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ცაგერის მერიის **სტრატეგიული მიზანია შიდა კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობის უზრუნველყოფა.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცაგერის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის გაძლიერება:** ამოცანის ფარგლებში ცაგერის მერია უზრუნველყოფს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დამოუკიდებლობასა და მისი სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსით აღჭურვას ისევე, როგორც თანამშრომლების მუდმივი პერიოდული გადამზადების პრაქტიკის დანერგვას, მათ შორის, ეთიკისა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხებზე.
- **მონიტორინგის მექანიზმის გაუმჯობესება:** პირველ ამოცანასთან ერთად მერია გეგმავს შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მექანიზმის დახვეწას და ეფექტიანობის უზრუნველყოფას.

სტრატეგიული მიმართულება VIII. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში მყოფი იურიდიული პირები

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების საქმიანობაში კორუფციული რისკების აღმოფხვრის მიზნით მნიშვნელოვანია, თითოეულ იურიდიულ პირში არსებობდეს შიდა კონტროლის ძლიერი და გამართული მექანიზმი, უზრუნველყოფილი იყოს ეთიკის ნორმების დანერგვა და მონიტორინგი. აუცილებელია, რომ თითოეულმა იურიდიულმა პირმა უზრუნველყოს ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვა და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისად განხორციელება. საჭიროა, გაანალიზდეს იურიდიული პირების საქმიანობა / ჩატარდეს ფუნქციური ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს მათი რეორგანიზაცია. მნიშვნელოვანია, ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა. აუცილებელია რომ მერიაში არსებული სტანდარტებისა და პრინციპების დანერგვა ეფექტიანად მოხდეს მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში, რომელთა ანგარიშვალდებულების ხარისხი მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

მერიის მმართველობაში შემავალი იურიდიული პირების საქმიანობის ანალიზის პროცესში იდენტიფიცირებულმა გამოწვევებმა შესაძლოა ხელი შეუწყონ აღნიშნულ დაწესებულებებში ისეთი კორუფციული რისკფაქტორების და რისკების წარმოქმნას, როგორებიცაა:

- არაეთიკური ქცევის რეაგირების გარეშე დატოვება
- თანამშრომლების მიერ საკუთარი ფუნქციების არასათანადოდ განხორციელება
- კორუფციული შემთხვევების არასათანადოდ პრევენცია

- საბიუჯეტო რესურსების არამიზნობრივი ან/და არაეფექტიანი გამოყენება (მათ შორის, არასაჭირო ადამიანურ რესურსებზე, დაუსაბუთებელ შესყიდვებზე და სხვა)
- სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კერძო ინტერესების დომინირება
- არაკანონიერი გარიგებები საბიუჯეტო რესურსების ათვისებისას

შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ცაგერის მერიის **სტრატეგიული მიზანია მერიის მმართველობაში შემავალი იურიდიული პირების ანგარიშვალდებულების, საქმიანობის გამჭვირვალობის და ეფექტიანობის უზრუნველყოფა.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ცაგერის მერია შემდეგ ამოცანებს განსაზღვრავს:

- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში შემავალი იურიდიული პირების ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა:** აღნიშნული ამოცანა გულისხმობს იურიდიულ პირებში კადრების ოპტიმიზაციის უზრუნველყოფასა და თანამშრომელთა აყვანის გამჭვირვალე, ღია კონკურსების ჩატარების პრაქტიკის დანერგვას. ამ მიზნით ფუნქციური ანალიზის საფუძველზე განხორციელდება რეორგანიზაცია ცალკეულ იურიდიულ პირში.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში შემავალ იურიდიულ პირებში გამჭვირვალობის გაუმჯობესება:** აღნიშნული ამოცანა მოიაზრებს საჯარო ინფორმაციის სრულყოფილად გამოქვეყნებისა და მისი მუდმივი განახლების უზრუნველყოფას (მათ შორის, საშტატო ნუსხები, წესდებები, შესყიდვების გეგმები, ბიუჯეტები, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და ადმინისტრაციული ხარჯები) ისევე, როგორც საჯარო ინფორმაციასა და ღია მონაცემების, მათი პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას და სრულყოფილი ყოველწლიური ანგარიშის მომზადებას.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში შემავალ იურიდიულ პირებში ეთიკის სტანდარტების დანერგვა:** ამოცანა გულისხმობს იურიდიულ პირებში ეთიკის, კოდექსების მიღებას და დანერგვას, ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას შესაბამისი ტრენინგების საშუალებით.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში შემავალ იურიდიულ პირებში შიდა კონტროლის გაუმჯობესება:** ამოცანა გულისხმობს დამოუკიდებელი, ძლიერი და გამართული შიდა საზედამხედველო სამსახურების ფუნქციონირებას, რომელიც სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსებით იქნება უზრუნველყოფილი.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში შემავალი იურიდიული პირების წარმომადგენლობითი ხარჯის აღრიცხვის მაღალი სტანდარტის დამკვიდრება:** ამოცანაში მოიაზრება ფინანსების ხარჯვის, მათ შორის, ტრანსპორტის მომსახურებაზე და საწვავზე გაწეული ხარჯების დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოება.
- **ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობაში შემავალი იურიდიული პირების სახელმწიფო შესყიდვების გაუმჯობესება:** ამოცანაში მოიაზრება იურიდიული პირების

მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება სქართველოს კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტების გათვალისწინებით.

სტრატეგიის განხორციელება

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია სტრატეგიას განხორციელებს შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით:

ანგარიშგება და კეთილსინდისიერება: ცაგერის მერიის მიერ განხორციელება ანგარიშგება, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობასა და კორუფციის პრევენციას.

მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომა: კეთილსინდისიერების პოლიტიკა ცაგერის მერიაში რისკების შესწავლას, განხორციელებული ღონისძიებების ანალიზსა და სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების შეფასებას დაეყრდნობა.

შედეგზე ორიენტირებული მიდგომა: ცაგერის მერია რეალისტური მიზნებს დასახავს და მხედველობაში მიიღებს არსებული მონაცემებს, რომელიც აქტივობების შედეგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

სამოქალაქო სექტორის ჩართულობა: კეთილსინდისიერების პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის მერია ითანამშრომლებს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბიზნესსექტორთან. სამოქალაქო სექტორი ჩართული იქნება არა მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში, არამედ მათი შესრულების მონიტორინგის პროცესშიც.

პროცესის გამჭვირვალობა და საჯარო კონსულტაციები: სტრატეგიული დოკუმენტების განხორციელების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება ღიაობა, ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობა მათი საჭიროებებისა და მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამალღების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამალღების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის ძირითადი მიზანია, შექმნას სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამალღების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და გატარებული პოლიტიკის შეფასება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების ამოცანების მიღწევას.

მონიტორინგის მეთოდოლოგია დაფუძნებულია ღიაობის, ანგარიშვალდებულების, პასუხისმგებლობისა და ჩართულობის პრინციპებზე. დოკუმენტში წარმოდგენილია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მიდგომები, თვისებრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები.

მონიტორინგის პროცესში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანებისა და აქტივობების შესრულება გაიზომება მათთვის განსაზღვრული რაოდენობრივი ან/და ხარისხობრივი ინდიკატორების მიხედვით.

ამოცანებისა და აქტივობების შესრულებას მიენიჭება ოთხიდან ერთი სტატუსი:

1. სრულად შესრულებული - აქტივობა/ამოცანა სრულად შესრულდა ან თითქმის სრულად შესრულდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია დასასრულებელი.
2. მეტწილად შესრულებული - აქტივობის/ამოცანის ძირითადი ნაწილი შესრულდა, თუმცა, გარკვეული ნაწილი ისევ შესასრულებელია.
3. ნაწილობრივ შესრულებული - აქტივობის/ამოცანის გარკვეული ნაწილია შესრულებული და ძირითადი ნაწილი არ შესრულებულა.
4. შეუსრულებელი - აქტივობა/ამოცანა საერთოდ არ შესრულებულა ან მისი იმდენად უმნიშვნელო ნაწილი შესრულდა, რომ პროგრესის დაფიქსირება ფაქტიურად შეუძლებელია.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია მონიტორინგის ანგარიშს წელიწადში ერთხელ მოამზადებს, რა დროსაც შეფასდება მიღწეული პროგრესი და არსებული გამოწვევები. მონიტორინგის ანგარიში კომენტარებისთვის მიეწოდებათ პროცესში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოსაზრებებისთვის. მონიტორინგის შედეგების განხილვა მოხდება მერიის თანამშრომლებთან და ფართო საზოგადოებასთან.

სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციას განახორციელებს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია, სადაც პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით გამოიყოფა საკონტაქტო პირი, რომელიც სრულად იქნება ინფორმირებული სამოქმედო გეგმის, მისი შესრულების ეტაპებისა და პასუხისმგებელი რგოლების შესახებ.